

შუალედური ანგარიში

25 სექტემბერი - 10 ოქტომბერი, 2020 წელი

2020 წლის 16 ოქტომბერი

I. შემაჯამებელი რეზიუმე

- 31 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ახალი საარჩევნო სისტემით ჩატარდება. ამომრჩეველი პარლამენტის 120 წევრს ქვეყნის მასშტაბით პროპორციული სისტემით, ხოლო 30 პარლამენტის წევრს ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევს. საარჩევნო ბარიერის 1%-მდე შემცირების შედეგად ბევრი ახალი პარტია გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, რამაც წინასაარჩევნო გარემოს კონკურენტუნარიანობის ზრდა განაპირობა. მაჟორიტარობის კანდიდატებმა გამარჯვების მოსაპოვებლად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა მოიპოვონ; თუ პირველ ტურში ვერცერთი კანდიდატი გაიმარჯვებს, არჩევნების მეორე ტური პირველ ორ კანდიდატს შორის სამი კვირის ვადაში ჩატარდება.
- ერთწლიანი კომპლექსური კონსულტაციების პროცესის შედეგად, 2020 წლის ივლისსა და სექტემბერში საკანონმდებლო ბაზაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. მაშინ, როდესაც ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ მოიწონა ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები, ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხარვეზები ისევ არსებობს და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციები ისევ არ არის გათვალისწინებული, კერძოდ, წინა საარჩევნო აგიტაციის საკითხები, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, კამპანიის ხარჯებთან, საჩივრებისა და გასაჩივრების პროცესებთან, ხმების ხელახალ დათვლასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული რეგულაციები. საკანონმდებლო ჩარჩო ძირითადად უზრუნველყოფს იმ მყარ საფუძველს, რომელიც საჭიროა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ კანონმდებლობის, მათ შორის, ბოლოდროინდელი ცვლილებების შემდგომ ეფექტურად განხორციელებას და აღსრულებას.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) რეგულარული სხდომები ღია იყო საარჩევნო სუბიექტებისთვის, აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიისთვის. ამ დროისთვის, საარჩევნო ადმინისტრაცია მზად არის არჩევნების ჩასატარებლად და მხოლოდ ტექნიკური მზადება მიმდინარეობს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას დაინტერესებულმა მხარეებმა მეტ-ნაკლებად ნდობა გამოხატეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფესიონალიზმის მიმართ, თუმცა ოპოზიციური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაერთმა წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქვა ქვედა დონის კომისიების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა და პირველი სხდომები ზოგიერთ ოლქში პოლიტიკურ

დაპირისპირებაში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა უმეტესობა არაპარტიულია, საუბნო საარჩევნო კომისიების ყველა თავმჯდომარე, რომელიც პარტიების მიერ წარდგელი წევრებიდან შეირჩა, მმართველ პარტიას წარმოადგენს.

- დაახლოებით 3,5 მილიონი ამომრჩეველია დარეგისტრირებული. ამომრჩეველთა სიები საუბნო საარჩევნო კომისიებში 1 ოქტომბრიდან გამოაკრეს, რათა ამომრჩეველებმა საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეძლონ. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩეველებს საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმების რამდენიმე შესაძლებლობას სთავაზობს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას დაინტერესებულ მხარეებს ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტიებიდან შემოსული 78 განაცხადიდან 50 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა (48 პარტია და 2 საარჩევნო ბლოკი, რომელიც 7 პარტიას მოიცავს), რომლებსაც კანდიდატთა სიების წარდგენის უფლება აქვთ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დაარეგისტრირა ის პარტიები, რომელთა განაცხადი უფლემოსილების არმქონე პირებმა წარადგინეს. ასევე არ დაარეგისტრირდა ის პარტიები, რომლებმაც განაცხადების შეტანის ვადას გადააცილეს, არ ჩაასწორეს მასში არსებული უზუსტობები ან არ წარადგინეს კანდიდატთა სიები. მაჟორიტარულ არჩევნებში 490-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობს.
- წინასაარჩევნო კამპანია განსაკუთრებით აქტიურია მედიასა და ინტერნეტ სივრცეში. ახალი კორონავირუსის (COVID-19) ფართოდ გავრცელების ფონზე ბევრმა პარტიამ კარდაკარ სიარული და პირისპირ შეხვედრები კამპანიის ფარგლებში შეამცირა. ამ შეზღუდვების თაობაზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას პარტიების უმეტესობას უკმაყოფილება არ გამოუთქვამს კამპანიის თავისუფლად წარმართვასთან დაკავშირებით, მათ შორის, არც უმცირესობების ენებზე, თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე საარჩევნო დარღვევა კორონავირუსის თემაზე რეაგირებას თუ არ გავითვალისწინებთ, კამპანია ორიენტირებულია პიროვნებებზე და არა არსებით საკითხებზე.
- სამართლებრივი ჩარჩო კამპანიების სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას ითვალისწინებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიების და საარჩევნო კამპანიის ფინანსურ ზედამხედველობას ახორციელებს და ადგენს პოტენციურ დარღვევებს. პირველი კამპანიის ფინანსური ანგარიშები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. თუმცა, დაინტერესებული მხარეების უმრავლესობამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით დაბალი ნდობა გამოხატა.

- მრავალფეროვანი მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებულია პოლიტიკურ მიმართულებებსა და ბიზნეს ინტერესებს შორის. საქართველოს საარჩევნო კოდექსი მაუწყებლებს ავალდებულებს, უზრუნველყონ კამპანიის სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება. სამაუწყებლო მედია ვალდებულია გამოყოს უფასო საეთერო დრო და დებატებზე მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების უფლების მქონე სუბიექტები მოიწვიოს. სხვა პარტიებს უფლება აქვთ მიიღონ შედარებით მცირე უფასო საეთერო დრო მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებლებზე.
- დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს და აკრედიტირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ კომისიის გადაწყვეტილებები და საარჩევნო დარღვევები გაასაჩივრონ. დღეის მონაცემებით, საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე 200-მდე საჩივარია წარდგენილი. სასამართლომ ცხრამდე საქმე განიხილა. , ხოლო ცხრამდე საქმე სასამართლოებში განიხილეს. საჩივრების უმრავლესობი განხილვაზე სასამართლომ უარი თქვა ან არ დააკამაყოფილა. ცესკო ზედამხედველობას უწევს კომისიებსა და სასამართლოებში შესული საჩივრების რეესტრს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- ქალები ზოგადად არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი საჯარო სამსახურებში. პარლამენტის შემადგენლობის 14 პროცენტს ქალები წარმოადგენენ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სამი წევრი, მათ შორის, თავმჯდომარე, ქალია. საოლქო საარჩევნო კომისიების 65 პროცენტს და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების 74 პროცენტს ქალები შეადგენენ. ბოლოდროინდელ ცვლილებებში დაწესდა სავალდებულო გენდერული კვოტა კანდიდატების სიებისთვის, რომლის მიხედვით მინიმუმ ყოველი მეოთხე კანდიდატი უნდა იყოს ქალი.
- პარტიულ, მათ შორის მმართველი პარტიის სიებში რამდენიმე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატია წარდგენილი, ძირითადად უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. საარჩევნო ადმინისტრაცია ეროვნული უმცირესობების ენებზე ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის განკუთვნილი მასალების გავრცელებას და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა გადამზადებას უზრუნველყოფს.
- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა 25 სექტემბერს დაიწყო. ეუთომ 13 წევრისგან შემდგარი ძირითადი ჯგუფი და 27 გრძელვადიანი დამკვირვებელი გადაანაწილა ქვეყნის მასშტაბით.

II. შესავალი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქართველოში არჩევნებზე შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (ODIHR LEOM), თავისი

მანდატის შესაბამისად, 25 სექტემბერს შეუდგა მუშაობას.¹ შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, რომელსაც ჯილიან სტირკი ხელმძღვანელობს, თბილისში მომუშავე 13-წევრიანი ძირითადი გუნდისა და 27 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომლებიც 2 ოქტომბრიდან ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდნენ. მისიის წევრები ეუთოს წევრი 20 ქვეყნიდან შეირჩა.²

III. ზოგადი ინფორმაცია და პოლიტიკური კონტექსტი

31 აგვისტოს პრეზიდენტმა, კონსტიტუციის შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნების თარიღად 31 ოქტომბერი გამოაცხადა. 2017 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა 2024 წლიდან დაიწყება, რითაც დასრულდება 2010 წელს დაწყებული საპრეზიდენტო მოწყობიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის პროცესი. პრეზიდენტს სახელმწიფოს მეთაურის, პრემიერ-მინისტრს კი მთავრობის მეთაურის სტატუსი აქვს.³ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა - 150-დან 115 მანდატი.⁴ 2017 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრთა უმრავლესობამ დატოვა პარტია და „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ჩამოაყალიბა. 2017 წელს ჩატარებულმა ადგილობრივმა არჩევნებმა კიდევ უფრო გაამყარა მმართველი პარტიის პოზიციები - „ქართულმა ოცნებამ“ 64-დან 62 მერის მანდატი, 64-დან 63 ადგილობრივ საკრებულოში კი უმრავლესობა მოიპოვა. 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც ქვეყნის პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა. ქალები ზოგადად არასაკმარისად არიან წარმოდგენილი საჯარო თანამდებობებზე - პარლამენტის მიმდინარე შემადგენლობის მხოლოდ 14 პროცენტს წარმოადგენენ ქალები.

¹ იხ. [ODIHR-ის საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიების წინა ანგარიშები](#)

² საჭიროებების შეფასების მისიის ანგარიშში ODIHR-მა არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (EOM) შექმნის რეკომენდაცია გასცა. მისია, ანალიტიკოსების ძირითად გუნდთან ერთად, გულისხმობდა 28 გრძელვადიან (LTO) და 350 მოკლევადიან დამკვირვებელს (STOs), რომლებიც საარჩევნო დღის პროცედურებზე დაკვირვებას განახორციელებდნენ. თუმცა, ეუთოს მთელს რეგიონში COVID-19-ითა და მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვებით გამოწვეულმა საგანგებო გარემოებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების შესაძლებლობაზე, მოეწვია დამკვირვებლები მოკლევადიანი პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელი გახდა საკმარისი რაოდენობის მოკლევადიანი დამკვირვებლების გაგზავნა არჩევნების დღის პროცედურებზე საფუძვლიანად დასაკვირვებლად, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიით გამოწვეული სირთულეების ფონზე. შესაბამისად, ODIHR-მა სადამკვირვებლო საქმიანობის EOM ფორმატი LEOM-ით ჩაანაცვლა. ODIHR LEOM-ის სტანდარტული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისია არ მოახდენს არჩევნების დღეს ჩატარებულ პროცესებზე კომპლექსურ ან სისტემურ დაკვირვებას, თუმცა აპირებს განახორციელოს ვიზიტები რიგ საარჩევნო უბნებზე არჩევნების დღეს.

³ პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თანამდებობაზე ნიშნავს შეირადებული ძალების მეთაურს. იგი წარმოადგენს საქართველოს საზღვარგარეთ ნიშნავს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს და აქვს საკანონმდებლო ვეტოს უფლება.

⁴ „გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ - 27, „პატრიოტთა ალიანსმა“ - 6, ხოლო - დამოუკიდებელმა კანდიდატმა 2 ადგილი მოიპოვა.

მიმდინარე COVID-19 პანდემიის ფონზე, წინასაარჩევნო გარემოს თან ახლავს პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და ეკონომიკური გამოწვევები. 2019 წლის ივნისში რუსი პარლამენტარის საქართველოს პარლამენტში ყოფნას მთავრობის საწინააღმდეგო საპროტესტო ტალღა მოჰყვა. მომიტინგეების დაშლის შემდეგ, დემონსტრაციები გაგრძელდა მთავრობის გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების არსებული შერეული სისტემის ნაცვლად, სრულად პროპორციული სისტემით ჩატარების მოთხოვნით. „ქართული ოცნების“ განცხადების თანახმად, 2019 წლის 28 ივნისს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, პარლამენტში მმართველი პარტიის 93-მა წევრმა არჩევნების სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი წარადგინა. თუმცა, 14 ნოემბრის კენჭისყრაზე კანონპროექტმა კონსტიტუციური უმრავლესობისათვის საჭირო მხარდაჭერა ვერ მიიღო. 4 დეკემბერს 29 დეპუტატმა პარლამენტში მოსასმენად საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი წარადგინა, მაგრამ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რამაც საპროტესტო აქციების ტალღა კიდევ უფრო გააძლიერა.⁵

2020 წლის 8 მარტს, საქართველოში დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით შედეგად მმართველმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რასაც მოჰყვა საკონსტიტუციო ცვლილებები ივნისის თვეში. ეს ცვლილებები საარჩევნო სისტემაში პროპორციული კომპონენტის გაზრდასა და საარჩევნო ბარიერის შემცირებას გულისხმობს. ბარიერის შემცირების შედეგად, ბევრი ახალი პარტია გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, რამაც აშკარად გაზარდა წინასაარჩევნო გარემოს კონკურენტუნარიანობა. კონსტიტუციის შესაბამისად, ეს იქნება ბოლო საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში, სრული პროპორციული სისტემა მომავალი არჩევნებისთვის შევა ძალაში.

IV. საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო

ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის 150 წევრი ოთხი წლის ვადით უნდა აირჩიონ. აქედან 120 წევრი, ჩაკეტილი პარტიული სიით წარდგენილი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, პროპორციული სისტემით აირჩევა, ხოლო 30 წევრი კი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით.⁶ ბოლო ცვლილებების თანახმად, საარჩევნო ბარიერი პარტიებისთვის, რომელიც პროპორციული სისტემით აირჩევიან, 5-დან 1 პროცენტამდე შემცირდა.⁷ გარდა ამისა, დაწესდა სავალდებულო გენდერული კვოტა პარტიული სიებისთვის, რომლის მიხედვით სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს

⁵ იხ. ODIHR-ის [დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე](#).

⁶ წინა არჩევნებზე 77 პარლამენტის წევრი პროპორციული წესით აირჩიეს, ხოლო დანარჩენი 73 – ერთმანდატიანი ოლქებიდან.

⁷ საარჩევნო ბლოკის ბარიერის პროცენტული მაჩვენებელი მასში შემავალი პარტიების რაოდენობის ტოლია. პარლამენტში ადგილების გადანაწილების ახალი ფორმულის მიხედვით ის საარჩევნო ბლოკები, რომლებიც პროპორციული სისტემით ხმათა 40,54 პროცენტზე ნაკლებს მიიღებენ, პარლამენტში ადგილის მოპოვებას ვერ შეძლებენ.

საპირისპირო სქესის წარმომადგენელი.⁸ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ეხმიანება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 25 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ მხარი დაუჭირა პარტიულ სიებში გენდერული კვოტის გავრცელებას მხოლოდ ქალებზე და გააუქმა მისი გავრცელება მამაკაცებზე, დაადგინა რა, რომ ამით იზღუდება ქალთა უფლებები, ჩაერთონ პოლიტიკაში და იყვნენ მაქსიმალურად წარმოდგენილი პარლამენტში.⁹ პარტიების მიერ წარდგენილმა და დამოუკიდებლად მონაწილე კანდიდატებმა, რომლებიც მაჟორიტარული სისტემით აირჩევიან, გამარჯვების მოსაპოვებლად ნამდვილ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა მიიღონ; თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, მაშინ არჩევნების მეორე ტური არჩევნების დღიდან მესამე შაბათს, იმ ორ კანდიდატს შორის ჩატარდება, ვინც პირველ ტურში ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო.

ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე 30 მაჟორიტარული ოლქის საზღვრები დადგინდა. საარჩევნო კოდექსმა საზღვრების კონსტიტუციური დაყოფის ფარგლებში ამომრჩეველთა თანაბარი გადანაწილება მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს.¹⁰ 30 საარჩევნო ოლქიდან 18-ში გადახრა 15 პროცენტზე მეტია, აქედან ყველაზე დიდ ოლქში გადახრა 3,5-ჯერ აღემატება ყველაზე პატარა ოლქში დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, ხოლო დანარჩენ შვიდ ოლქში ეს რიცხვი 10-დან 15 პროცენტამდე მერყეობს.¹¹ მარნეულისა და გარდაბნის საარჩევნო ოლქების გაერთიანებამ პარლამენტში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესაძლებლობა შეამცირა.

არჩევნები ძირითადად 1995 წლის კონსტიტუციით 2011 წლის საარჩევნო კოდექსით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 1997 წლის კანონით და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებით რეგულირდება.¹² ერთწლიანი კომპლექსური კონსულტაციების პროცესის შედეგად, საკანონმდებლო ბაზაში 2020 წლის ივლისსა და

⁸ პარტიებს, ვინც თავიანთ სიებში ყოველ 10 კანდიდატში ორივე სქესის მინიმუმ სამ წარმომადგენელს წარადგენს, ექნებათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 30 პროცენტი დაფინანსების მოპოვების უფლება.

⁹ 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოითხოვს, რომ ნებისმიერი გადახრა შესაბამებოდეს [ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ \(ვენეციის კომისიის\) კარგი პრაქტიკის კოდექსს](#), რომლის მიხედვით გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია მაქსიმალური გადახრა 10-დან 15 პროცენტამდე.

¹⁰ ყველაზე დიდ ოლქში (#23) 154,870 ამომრჩეველი, ხოლო ყველაზე პატარა ოლქში (#19) 43,903 ამომრჩეველია დარეგისტრირებული.

¹¹ სხვა შესაბამისი კანონები: 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2008 წლის კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1999 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, და 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

¹² დაინტერესებული მხარეების წინადადებები განიხილეს და მთლიანად ან ნაწილობრივ მიიღეს, თუმცა ODIHR-ის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას მხარეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, რომ შეთანხმებული ცვლილებები არ აისახა საბოლოო პროექტში. საპარლამენტო კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა „ევროპულმა საქართველომ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“; კენჭისყრაში დეპუტატთა ორმა მესამედმა მიიღო მონაწილეობა.

სექტემბერში ძირეული ცვლილებები გატარდა.¹³ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ გაცემული ცნობილი რეკომენდაციები, სისტემატური განხილვის საგანი იყო; მათგან ზოგიერთი ნაწილობრივ ან მთლიანად იქნა გათვალისწინებული. საკანონმდებლო ცვლილებები საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ნაწილს ეხება. ეს ცვლილებები ასევე მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციას, პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციას, კამპანიის ხარჯებს, წინასაარჩევნო კამპანიას მედიაში და მის გამუქებას, საარჩევნო დამკვირვებლებს, ასევე საარჩევნო დავებსა და სამართალდარღვევებს.¹⁴ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) წინა რეკომენდაციის გათვალისწინებით მეორე ტურის ჩატარების პერიოდის რეგულირებამ საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული ხარვეზი აღმოფხვრა.

მაშინ, როდესაც ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ მოიწონა ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები, ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხარვეზები ისევ არსებობს და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციები ისევ არ არის გათვალისწინებული, კერძოდ, წინა საარჩევნო აგიტაციის საკითხები, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, კამპანიის ხარჯებთან, საჩივრებისა და გასაჩივრების პროცესებთან, ხმების ხელახალ დათვლასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული რეგულაციები. საკანონმდებლო ჩარჩო ძირითადად უზრუნველყოფს იმ მყარ საფუძველს, რომელიც საჭიროა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ კანონდებლობის, მათ შორის, ბოლოდროინდელი ცვლილებების შემდგომ ეფექტურად განხორციელებას და აღსრულებას.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება სამ-დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისისგან, 73 საოლქო და 3,657 საუბნო საარჩევნო კომისიისგან შედგება. საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობა 39 ქვეყანაში შეეძლებათ, სადაც ხმას მხოლოდ პროპორციული წესით მისცემენ.¹⁵

ყველა დონის საარჩევნო კომისია 12 წევრისგან შედგება, აქედან ექვსი არაპარტიული წევრია, ექვსი კი - პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთ არაპარტიულ წევრს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ირჩევს.¹⁶ ცესკოს თავმჯდომარეს ცესკო ხმების ორი მესამედით ირჩევს

¹³ ცვლილებების ნაწილი იმოქმედებს მხოლოდ მიმდინარე არჩევნებზე, დანარჩენი კი ძალაში 2020 წლის არჩევნების შემდეგ შევა.

¹⁴ გარდა ამისა, ორი საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა ავღანეთში მივლინებული ქართველი ჯარისკაცებისთვის და 10 სპეციალური საუბნო საარჩევნო კომისია – პენიტენციურ დაწესებულებებში.

¹⁵ პრეზიდენტი თითოეულ ვაკანტურ ადგილზე ორ კანდიდატურას წარადგენს საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

¹⁶ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამი წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, ქალია.

პრეზიდენტის მიერ დასახელებული სამი კანდიდატიდან.¹⁷ საოლქო და საუბნო კომისიის არაპარტიულ წევრებს შესაბამისად ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისიები საერთოხმათა უმრავლესობით ირჩევენ. საპარლამენტო პარტიებს საარჩევნო კომისიების წევრების წარდგენის უფლება აქვთ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად, რამაც რიგ კომისიებში მმართველი პარტიის წარმომადგენლების ზრდა განაპირობა.

ამ დროისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციამ კანონით დადგენილი ყველა ვადა დააკმაყოფილა და არჩევნებისთვის ტექნიკური მზადების პროცესშია. ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც ღია იყო აკრედიტებული საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. ცესკომ გადაწყვეტილებების უმეტესობა ერთხმად მიიღო და სხდომის ოქმებთან ერთად ცესკოს ვებ-გვერდზე განათავსა. ცესკომ, სამოქალაქო საზოგადოებისა და პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, ძირითადი საარჩევნო უბნებისთვის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროტოკოლი მიიღო.¹⁸

ყველა, 73 საოლქო საარჩევნო კომისია თორმეტივე წევრით კანონით განსაზღვრულ ვადებში დაკომპლექტდა.¹⁹ კანონმდებლობის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი წევრების გაწვევა არჩევნების დღის გარდა, ნებისმიერ დროს შეუძლიათ. ბოლოდროინდელი ცვლილებები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესში გამჭვირვალობის გაზრდას და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად. კერძოდ, ოჯახური კავშირის არსებობის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს არ აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევაში. გარდა ამისა, კონკურსს გამოეთიშნენ წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული კანდიდატები.²⁰ დაინტერესებულმა მხარეებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ სადამკვირვებლო მისიასთან (OSCE/ODIHR LEOM) საუბრისას აღნიშნული ცვლილებები დადებითად შეაფასეს, თუმცა არასაკმარისად მიიჩნიეს. საუბნო საარჩევნო

¹⁷ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და სხვა უფლებამოსილი პირები გაივლიან თერმოსკრინინგს, გაიკეთებენ დამცავ ფარს და ხელთათმანებს. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმისაწვდომი იქნება სადეზინფექციო ბარიერი და ხელების სადეზინფექციო საშუალებები. ამომრჩევლებმა უნდა გაიკეთონ პირბადე და გამოიყენონ ერთჯერადი კალმები. ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს კარანტინში მყოფი მოქალაქეების ხმის მიცემის პროცედურების დადგენაზე.

¹⁸ საოლქო საარჩევნო კომისიის მხოლოდ ხუთი არაპარტიული წევრი იმუშავებს მუდმივად, დანარჩენი შვიდი წევრი თავიდან ინიშნება ყოველ არჩევნებზე. მაჟორიტარული ოლქების შემცირების გამო, 30 ოლქს რჩება სრული უფლებამოსილება, ხოლო 43 ოლქს ექნება დამხმარე ოლქის სტატუსი შეზღუდული უფლებამოსილებით.

¹⁹ 25,000 განაცხადიდან 890 არ დაკმაყოფილდა, წარსულში პარტიების მიერ წარდგენილი კომისიის წევრის პოზიციაზე მუშაობის გამო. 66 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი გამოეთიშა შერჩევის პროცესს სხვა კანდიდატებთან ოჯახურ კავშირში ყოფნის საფუძველზე.

²⁰ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით საუბნო საარჩევნო კომისიების 51 პროცენტში ექვს არაპარტიულ ვაკანტურ პოზიციაზე ზუსტად ექვსი კანდიდატი იყო წარდგენილი. საუბნო საარჩევნო კომისიების 26 პროცენტში მხოლოდ შვიდი განმცხადებელი ჰყავთ.

კომისიის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა დაბალი იყო, რამაც პრინციპში, უმეტეს შემთხვევაში, ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობა გამოირიცხა.²¹

საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობა კანონით დადგენილ ვადებში დაკომპლექტდა.²² საუბნო საარჩევნო კომისიის არაპარტიული წევრების, ისევე როგორც ხელმძღვანელობის არჩევას სხვადასხვა ოლქში „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებულ პირებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპასუხოდ რამდენიმე ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ოპოზიცია საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობისთვის დაგმო. მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები უმეტესად არაპარტიულ წევრებს წარმოადგენენ, პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან არჩეული ყველა თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია.²³ ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 66 პროცენტს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში 74 პროცენტს შეადგენენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას დაინტერესებულმა მხარეებმა მეტ-ნაკლებად ნდობა გამოხატეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფესიონალიზმის მიმართ, თუმცა ოპოზიციური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაერთმა წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქვა ქვედა დონის კომისიების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR LEOM) მიერ საარჩევნო უბნებთან წვდომის გაზრდასთან დაკავშირებით წარსულში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, ცესკომ 1,126 ადაპტირებული საარჩევნო უბანი (30,8 პროცენტი) უზრუნველყო. ეტლით მოსარგებლე პირებს შეეძლება, მოითხოვონ რეგისტრაციის გადატანა ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე შესაბამისი ოლქის ფარგლებში. იმ პირებს, ვისაც სახლის დატოვება არ შეუძლიათ, ხმის მიცემის შესაძლებლობა სახლიდან ექნებათ.

VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა პირს გააჩნია, გარდა იმ პირებისა, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ გამოცხადდნენ და სტაციონარში არიან

²¹ ქვორუმის არარსებობის ან თანამშრომელთა თვითიზოლაციაში ყოფნის გამო რვა საუბნო საარჩევნო კომისია ვერ შედგა.

²² „ქართული ოცნების“ წევრებმა დაიკავეს არსებული წამყვანი თანამდებობების 14 პროცენტი (თავმჯდომარეები, მოადგილეები და მდივნები), მათ შორისა 434 თავმჯდომარის პოსტი, ხოლო დანარჩენი სამი პარტიიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა წამყვანი პოზიციების 0,1 პროცენტზე მეტი.

²³ იხ. [გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის](#) (CRPD) მე-12 და 29-ე მუხლები. ასევე იხ. [2013 წლის კონვენციის კომიტეტის კომუნიკაცია № 4/2011](#), 9.4 პუნქტი, რომლის მიხედვით 29-ე მუხლი არ ითვალისწინებს გონივრულ შეზღუდვებს, ან გამონაკლისებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

მოთავსებული. ²⁴ ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი პასიური, განგრძობადი და ცენტრალიზებულია. მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მქონე ამომრჩეველთა სიაში შეყვანა მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივი (დროებითი) მისამართის ან წარსულში რეგისტრირებული მისამართის მიხედვით ხდება. ცესკო ამომრჩეველთა სიებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ადგენს. ²⁵ ამომრჩეველთა წინასწარ სიაში დაახლოებით 3,511,000 ამომრჩეველია რეგისტრირებული.

ამომრჩეველთა სიები საუბნო საარჩევნო კომისიებში 1 ოქტომბრიდან გამოაკრეს, რათა ამომრჩეველებმა საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეძლონ. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩეველებს საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმების რამდენიმე შესაძლებლობას სთავაზობს. ²⁶ ამომრჩეველებს თავიანთი სარეგისტრაციო მონაცემების ჩასწორება 13 ოქტომბრამდე შეეძლოთ. კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად უბნის ადგილმდებარეობის დროებით შეცვლასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩანაწერი არ არსებობს. არჩევნებზე დამკვირვებლად დარეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მიიღონ ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ასლი, რომელიც რამდენიმე მათგანმა უკვე გამოითხოვა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას, დაინტერესებული მხარეების უმეტესობას ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუთქვამს.

VII. კანდიდატების რეგისტრაცია

2017 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე საპარლამენტო წევრობის სარეგისტრაციო მოთხოვნები განახლდა. ²⁷ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენა შეუძლია საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან,

²⁴ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აგრძელებს მონაცემთა რეესტრის დახვეწაზე მუშაობას. სააგენტო დუბლირებული მონაცემების ამოსაღებად სახის ამოცნობის ინსტრუმენტს იყენებს, შლის გარდაცვლილი ამომრჩეველების ინფორმაციას, და ამომრჩეველებს შესაძლებლობას აძლევს უფასოდ მიიღონ და განაახლონ დოკუმენტები და ფოტოსურათები.

²⁵ როგორცაა ცესკოს ვებ-გვერდი, მათ შორის მხედველობითი და სმენითი პრობლემების მქონე პირებისთვის შექმნილი ინტერფეისი, მობილური აპლიკაცია და 11,500 სწრაფი გადახდის აპარატი.

²⁶ ცვლილებების საფუძველზე გაუქმდა ენების ცოდნასთან დაკავშირებული მოთხოვნა, მაგრამ ითვალისწინებს მინიმალური ასაკის მოთხოვნის გაზრდას, რაც გულისხმობს იმას, რომ 21 წლის ან 21 წელს გადაცილებულ პირებს ექნებათ მონაწილეობის მიღების უფლება. სავალდებულო ბინადრობის მინიმალური ხანგრძლივობა გაიზარდა, ადრე დადგენილ ორ წელთან შედარებით

²⁷ [კარგი პრაქტიკის კოდექსის](#) მიხედვით, "ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნა მოქალაქეებს მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონალი არჩევნების დროს შეიძლება დაეკისროთ". უფრო მეტიც, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICCPR) [ზოგადი კომენტარის N. 25](#) მე - 15 პუნქტში ნათქვამია: "[პირები], რომელთაც, სხვა შემთხვევაში, აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არ უნდა შეეზღუდოთ უფლებები არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნებით, როგორცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი ან წარმოშობა, ან პოლიტიკური ნიშნით".

რომელსაც საქართველოში მინიმუმ 10 წელი აქვს ნაცხოვრები.²⁸ მაღალი რანგის საჯარო მოხელეების უმრავლესობა ვალდებულია კანდიდატად წარდგინებიდან ორი დღის ვადაში თანამდებობიდან გადადგეს. ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა პარტიების რეგისტრაციისთვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა, კერძოდ, 25,000-დან 5,000 ხელმოწერამდე. ასევე კანდიდატები აღარ არიან ვალდებული, გაიარონ ნარკოლოგიური შემოწმება.²⁹ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიები ცესკო-ში უნდა დარეგისტრირებულიყვნენ. ზოგიერთი კატეგორიის პოლიტიკურ პარტიას სამართლებრივი ჩარჩო გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებს, რაც გულისხმობს რეგისტრაციის გახანგრძლივებულ ვადას ან ხელმოწერების შეგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლებას.³⁰

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტიებიდან 78 განაცხადი მიიღო და 50 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა (48 პარტია და ორი საარჩევნო ბლოკი, რომელიც შვიდ პარტიას მოიცავდა). ხუთმა პარტიამ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, 19 პარტიას კი ცესკო-მ უარი უთხრა რეგისტრაციაზე. იმ პარტიებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განაცხადის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ, დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში ჩაბარება, სიაში არსებული უზუსტობების შესწორება ან კანდიდატების სიის ჩაბარება, რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ. ოთხმა პარტიამ ცესკოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა; მათგან ერთი საჩივარი სასამართლომ დააკმაყოფილა.³¹ გარდა ამისა, ერთი პარტიის რეგისტრაცია სასამართლოში სხვა პოლიტიკურმა პარტიამ გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად.

მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ პარტიებს ან საარჩევნო ბლოკებს. ხოლო დამოუკიდებელ მაჟორიტარ კანდიდატებს მინიმუმ ხუთი კაცისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფები წარადგინენ. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი 22 დამოუკიდებელი კანდიდატიდან 11 დარეგისტრირდა. მაჟორიტარი კანდიდატების რაოდენობა საერთო ჯამში 493-ია, მათგან 106 ქალია.

²⁸ არჩეულმა დეპუტატებმა ნარკოლოგიური შემოწმების შედეგი არჩევნების დღის შემდეგ შვიდი დღის ვადაში უნდა წარმოადგინონ.

²⁹ პარტიებმა, რომლებსაც ჰყავდათ დეპუტატი არჩევნების დანიშვნის დროს, უნდა წარადგინონ თავიანთი განცხადება არჩევნებამდე 57 დღით ადრე (ანუ 4 სექტემბერს), სხვა პარტიებისთვის დადგენილი 15 ივლისის ნაცვლად. უფრო მეტიც, "კვალიფიციური" საარჩევნო სუბიექტები (ე.ი. ისინი, ვინც ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში მიიღო ხმების მინიმუმ სამი პროცენტი) და ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებმაც მინიმუმ 15,000 ხმა მიიღეს პროპორციული სისტემით ჩატარებულ მინიმუმ ერთ არჩევნებში, ან ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში, გათავისუფლდნენ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების ვალდებულებისგან.

³⁰ სასამართლომ გააუქმა ცესკოს გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ რეგისტრაციას გვიან წარდგენის მოტივით. სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან მხარე იურიდიულად გათავისუფლდა ხელმოწერების შეგროვებისგან, თანაბრად უნდა მოქმედებდეს დეპუტატებთან დაკავშირებული პარტიების წარდგენის ბოლო ვადა.

³¹ მონაწილე სუბიექტებს ეკრძალებათ ამომრჩეველთან კომუნიკაცია არჩევნების დღეს ტელეფონისა თუ წერილობითი შეტყობინების (SMS) გზით. ცვლილებებით იკრძალება საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში საარჩევნო კამპანიის მასალების განთავსება.

VIII. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანია ოფიციალურად 1 სექტემბერს დაიწყო, ანუ არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე, თუმცა რამდენიმე პარტია კამპანიის წარმოებას უფრო ადრე შეუდგა. კანონი საარჩევნო პროცესის ყოველი მონაწილესთვის სამართლიან წინასაარჩევნო პირობებს უზრუნველყოფს. ბოლოდროინდელი ცვლილებების საფუძველზე საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, რომლებიც ხმის მიცემის პროცესის დაწყებამდე რვა საათით ადრე და არჩევნების დღის განმავლობაში იმოქმედებს.³² ასევე, კოდექსში შევიდა დებულებები ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, კრიმინალიზებული ამომრჩევლებზე ზეწოლა და მათი დაშინება, გამკაცრდა სასჯელი ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების აღმოჩენისას.³³ 12 სექტემბერს 20-მა პოლიტიკურმა პარტიამ, ცესკოს მხარდაჭერით, ხელი მოაწერა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს, რითაც მათ აღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა დაადასტურეს.³⁴

³² ცვლილებები აფართოებს საჯარო მოსამსახურეების ცნების განმარტებას, რომელთაც ეკრძალებათ სამუშაო საათებში საარჩევნო კამპანიაში ჩართვა, და უკრძალავს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდში წარსული მიღწევებისა თუ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ რეკლამის ეთერში განთავსებას.

³³ სხვათა შორის, კანდიდატები იღებენ ვალდებულებას დაიცვან კანონის უზენაესობა, თავი შეიკავონ ძალადობისგან, სიძულვილის ენისგან, ქსენოფობიისგან, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებისგან, ამომრჩევლის დაშინებისაგან, დისკრიმინაციისგან, ყალბი ამბების გავრცელებისა და სხვების დამცირებისგან. 10 ოქტომბრის მონაცემებით, ქცევის კოდექსს 40-მა პარტიამ მოაწერა ხელი.

³⁴ საკანონმდებლო ბაზა არ არეგულირებს სოციალურ ქსელებში ჩატარებულ კამპანიას. 2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის აპრილში Facebook-მა წაშალა 500-ზე მეტი გვერდი, 100-ზე მეტი ანგარიში, ასევე ჯგუფები და ინსტაგრამის პროფილები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ "კოორდინირებულ არაავტენტურ ქცევაში" საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და COVID-19-ის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებით. 2020 წლის ივნისში რიგმა მედიასაშუალებებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს Facebook-ს, რათა მიეღო ზომები "ანონიმური, კოორდინირებული და დასპონსორებული პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიების აღსაკვეთად". Facebook-მა 16 ივლისის პასუხში აღნიშნა, რომ 2020 წლის აგვისტოდან ის მოითხოვს საქართველოში არჩევნებისა და პოლიტიკის შესახებ რეკლამირების ავტორიზაციას, რაც "უპრეცედენტოდ ზრდის ამ რეკლამების გამჭვირვალობისა და ავტენტურობის ხარისხს და ხალხს უქმნის შესაძლებლობას დაინახოს, ვინ ცდილობს მათ ხმაზე ზეგავლენის მოხდენას არჩევნების წინ და რატომ."

³⁴ საკანონმდებლო ბაზა არ არეგულირებს სოციალურ ქსელებში ჩატარებულ კამპანიას. 2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის აპრილში Facebook-მა წაშალა 500-ზე მეტი გვერდი, 100-ზე მეტი ანგარიში, ასევე ჯგუფები და ინსტაგრამის პროფილები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ "კოორდინირებულ არაავტენტურ ქცევაში" საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და COVID-19-ის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებით. 2020 წლის ივნისში რიგმა მედიასაშუალებებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს Facebook-ს, რათა მიეღო ზომები "ანონიმური, კოორდინირებული და დასპონსორებული პოლიტიკური დისკრედიტაციის კამპანიების აღსაკვეთად". Facebook-მა 16 ივლისის პასუხში აღნიშნა, რომ 2020 წლის აგვისტოდან ის მოითხოვს საქართველოში არჩევნებისა და პოლიტიკის შესახებ რეკლამირების ავტორიზაციას, რაც "უპრეცედენტოდ ზრდის ამ რეკლამების გამჭვირვალობისა და ავტენტურობის ხარისხს და ხალხს უქმნის შესაძლებლობას დაინახოს, ვინ ცდილობს მათ ხმაზე ზეგავლენის მოხდენას არჩევნების წინ და რატომ."

წინასაარჩევნო კამპანია განსაკუთრებით აქტიურია მედიასა და ინტერნეტ სივრცეში.³⁵ წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე არ ვრცელდება კოვიდ 19-თან დაკავშირებით დაწესებული ის შეზღუდვები, რომლებიც სხვა სოციალურ აქტივობებს ეხება. ახალი კორონავირუსის (COVID-19) ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით ბევრმა პარტიამ კამპანიის ფარგლებში კარდაკარი და პირისპირ შეხვედრები შეამცირა. აღნიშნული შეზღუდვების თაობაზე, ასევე კამპანიის თავისუფლად და ეთნიკური უმცირესობების ენებზე ჩატარებასთან დაკავშირებით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას პარტიების უმეტესობას შეეფოთება არ გამოუხატავს. თუმცა, დაფიქსირდა არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის რამოდენიმე შემთხვევა. 29 სექტემბერს, მარნეულში, საოლქო საარჩევნო კომისიასთან „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის დაპირისპირებისას აქტივისტები და ჟურნალისტები დაშავდნენ.³⁶

კორონავირუსის საკითხს თუ არ ჩავთვლით, მიმდინარე კამპანიები ძირითადად პიროვნებებზეა ორიენტირებული და არა არსებით საკითხებზე. საარჩევნო ბარიერის შემცირების გათვალისწინებით, როგორც ახლადდაფუძნებული, ისე გამოცდილი პარტიები თავიანთ შანსებს დადებითად აფასებენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) საუბრისას, რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური გარემო არასამართლიანია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და „ქართული ოცნების“ აქტივისტების საქმიანობა ამომრჩევლების პირდაპირ და არაპირდაპირ დაშინებას ემსახურება. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისას ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელმა ახსენა ხმების მოსყიდვის შესაძლო შემთხვევები, მათ შორის, კოვიდ-19-თან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დაწესებული სოციალური დახმარება. საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებში საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ გადაცდომებზე სხვადასხვაგვარი საჩივარია შეტანილი.³⁷

³⁵ სამართალდამცავებმა ინციდენტთან დაკავშირებით ოთხ პირს ბრალი წაუყენეს. 27 სექტემბერს ბოლნისის რაიონში, ნახიდურში მოხდა კიდევ ერთი დაპირისპირება „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის.

³⁶ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი დაჯარიმდა 2,000 ლარით (1 ევრო = 3,8 ლარს)ვიდეოსთვის, რომელიც არღვევს კამპანიის რეკლამირების აკრძალვას ანტითურქული შინაარსის გამო რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების ხელშეწყობით. პატრიოტთა ალიანსი ასევე გააკრიტიკეს ანტითურქული გზავნილის მატარებელი ბილბორდის გამოფენის გამო, თუმც პარტია უარყოფს მისი რეკლამირების განზრახვას. ოპოზიციური პარტიებისა და დამკვირვებელთა ჯგუფების მიერ წარდგენილი 40 საჩივარი გულისხმობს არაუფლებამოსილი პირების მიერ კამპანიის ჩატარებას, სამუშაო საათებში საჯარო მოხელეების მიერ კამპანიაში ჩართვას ან ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას.

³⁷ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, გარდა იმ პარტიებისა, რომლებსაც ჰყავთ დეპუტატი პარლამენტში და რომელიმე ფრაქციაში არიან გაწევრიანებულები, ეკუთვნით ამჟამად ასევე იმ პარტიებს, რომლებიც ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში სამ-პროცენტის ბარიერი გადალახეს. ცვლილებებით, 2020 წლის არჩევნების საფუძველზე ბარიერი შემცირებულია ერთ პროცენტამდე, პარტია პირველი 50 000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიიღებს დაფინანსებას თითოეულ ხმაზე 15 ლარის ოდენობით, ხოლო 50,000 მეტი ხმის შემთხვევაში 5 ლარს;

IX. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხებს საარჩევნო კოდექსი, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები არეგულირებს. ბოლოს მიღებული ცვლილებების მიზანს კამპანიების შემოწირულობების და დანახარჯის დამატებითი რეგულირება, ასევე კამპანიის ხარჯების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა წარმოადგენს. დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) საუბრისას დაბალი ნდობა გამოხატა კამპანიის ფინანსურ გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

ცვლილებებმა პოლიტიკური პარტიების მიერ ყოველწლიური სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა გააფართოვა, საარჩევნო დაფინანსების განაწილების ფორმულა კი გაამარტივა.³⁸ ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იან ბარიერს გადალახავენ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაუმეტეს ერთ მილიონ ლარს მიიღებენ საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების დასაფარად.³⁹ თითოეული პარტიის წლიური დანახარჯის მაქსიმალური ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს გასული წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0.1 პროცენტს, რაც დაახლოებით 50 მილიონი ლარის ექვივალენტურია. ეს თანხა მოიცავს პარტიის, მისი კანდიდატებისა და მესამე პირების მიერ გაწეული ხარჯს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის. დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატებისთვის დანახარჯის მაქსიმალური ზღვარი შესაბამის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულია.

ერთი ან რამდენიმე პარტიის ან კანდიდატის მიერ საქართველოს მოქალაქისგან მიღებული შემოწირულობის საერთო ოდენობა წელიწადში 60,000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისგან მიღებული შემოწირულობის საერთო წლიური ოდენობა წელიწადში მაქსიმუმ 120,000 ლარით განისაზღვრა. აღნიშნული შემოწირულობები ხორციელდება საბანკო გადარიცხვებით.⁴⁰ საარჩევნო სუბიექტებს ასევე შეუძლიათ, აიღონ ერთ მილიონ ლარამდე ოდენობის საბანკო სესხი წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. აკრძალულია შემოწირულობები უცხოეთიდან, საზოგადოების მიერ დაფინანსებული, რელიგიური და ანონიმური წყაროებიდან. ბოლოდროინდელი ცვლილებების საფუძველზე გაფართოვდა უცხოეთთან და საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული შემოწირულობების აკრძალვები, აიკრძალა შემოწირულობები

³⁸ არამატერიალური შემოწირულობები (საქონელი და მომსახურება) დეკლარირებული უნდა იყოს საბაზრო ღირებულებით.

³⁹ პარტიების მიერ შემოწირულობების ოდენობამ 1-21 სექტემბერს შეადგინა: პარტია „ქართული ოცნება“ - 5,336,450 ლარი; პარტია „ლელო“ - 1,029,153 ლარი; საარჩევნო ბლოკი „სტრატეგია აღმაშენებელი“ - 959,879 ლარი, პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ - 694,261 ლარი, პარტია „ევროპული საქართველო“ EG- ს, პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 668,709 ლარი და საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 450,419 ლარი.

⁴⁰ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტში მუშაობს რვა თანამშრომელი და დამატებითი ოთხ საარჩევნო პერიოდში.

დაუსაბუთებელი წყაროებიდან. ODIHR-ის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ასევე დაწესდა ფინანსური ჯარიმა მესამე პირების მიერ კამპანიის წარმოების მიზნით გაწეული ხარჯებისთვის.

პარტიისა და კამპანიის ფინანსურ ზედამხედველობას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს. პოტენციური დარღვევების იდენტიფიცირებას სახელმწიფო აუდიტის სამსახური კამპანიის საბანკო ანგარიშების ტრანსაქციების და კამპანიის ფინანსური ანგარიშების შესწავლით, მედიაში, მათ შორის, სოციალური მედიაში კამპანიის მონიტორინგით, საველე ვიზიტებითა და საჩივრების მიღებით ახორციელებს.⁴¹

პარტიებმა და საინიციატივო ჯგუფებმა კამპანიის შუალედური ფინანსური ანგარიშები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ უნდა წარუდგინონ. აღნიშნული ანგარიშების გარდა, არჩევნების შემდეგ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამტკიცებულ დეტალურ ფორმატში, პარტიები და საინიციატივო ჯგუფები წარადგენენ საბოლოო ანგარიშებს, რომელსაც წინასწარ უკვე გავლილი აქვთ აუდიტი. ბოლოს მიღებული ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნული ანგარიშები თავის ვებ-გვერდზე 5 დღის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს.⁴² პარტიების უმრავლესობამ პირველი ფინანსური ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უკვე წარუდგინა. ამ უკანასკნელმა ანგარიშების ვებ-გვერდზე გამოქვეყნება დროულად უზრუნველყო.⁴³ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საკუთარი ინიციატივით, აპირებს არჩევნებამდე მონიტორინგის შედეგების შუალედური ანგარიში გამოაქვეყნოს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, საბანკო გადარიცხვების, დეკლარირებული შემოწირულობებისა და ხარჯების მიმოხილვის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რვა ოქმი წარუდგინა, რომლებიც ძირითადად მცირე და ახალ პოლიტიკურ პარტიებთან იყო დაკავშირებული.⁴⁴ სამსახურმა ასევე გახსნა მოთხოვნები 750-ზე მეტ დონორზე, საექვო შემოწირულობების წყაროების გადამოწმების მიზნით. საექვო წყაროების უმეტესობა ერთი პოლიტიკური პარტიის

⁴¹ საარჩევნო სუბიექტებმა ასევე უნდა აცნობონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს კამპანიის შემოწირულობების მიღების შესახებ, მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახური მათ აქვეყნებს ყოველთვიურად. ამ არჩევნებისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაადგინა შუალედური ფინანსური ანგარიშების წარდგენის შემდეგი ვადები: 24 სექტემბერი, 15 ოქტომბერი და 5 ნოემბერი.

⁴² თექვსმეტმა პარტიამ ვერ წარადგინა აღნიშნული ანგარიშები. მათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გაუგზავნეს მხოლოდ წერილებილ რომელშიც ნათქვამია, რომ ნულოვანი შემოწირულობები და ხარჯები აქვს პარტიას.

⁴³ სამართალდარღვევები, რომლებიც ეხება ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნებას, უკანონო შემოწირულობებსა და შემოწირულობის ლიმიტის გადაჭარბებას.

⁴⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოთხოვნა გახსნა „პატრიოტთა ალიანსის“ ყველა შემომწირველთან დაკავშირებით, გენერალური პროკურორთან შეტანილი საჩივრის საფუძველზე, რომ მხარე ფინანსდებოდა უცხოური ფულის მიერ.

შემომწირველებთან იყო დაკავშირებული.⁴⁵ ამ დროისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რამდენიმე ოფიციალური საჩივარი აქვს მიღებული.

X. მედია

მრავალფეროვანი მედია გარემო მკვეთრად პოლარიზებულია პოლიტიკურ მიმართულებებსა და ბიზნეს ინტერესებს შორის. ტელევიზია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ რჩება. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისას, დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს რომ სამაუწყებლო მედია ბაზარი მეტად გადატვირთულია. სატელევიზიო ბაზარი 2019 წლის ივლისში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს⁴⁶ გადაწყვეტილების საფუძველზე, ყველაზე რეიტინგული სატელევიზიო არხის „რუსთავი 2“-ის მფლობელობის შეცვლის შემდეგ, შეიცვალა. „რუსთავი 2“-ის მმართველმა გუნდმა „მთავარი არხი“ და ტელეკომპანია „ფორმულა“ დააარსა, სადაც „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტების უმრავლესობა დასაქმდა.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება; ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ) მონაცემებზე დაყრდნობით. მისი წლიური ბიუჯეტი ყველა სატელევიზიო არხის ერთად აღებულ სარეკლამო შემოსავალს უთანაბრდება.⁴⁷ 2020 წლის აგვისტოში დირექტორის გადადგომის შემდეგ, 25 სექტემბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორი დაინიშნა. 2019 წელს სამეთვალყურეო საბჭომ თანამდებობიდან გაათავისუფლა ბათუმში არსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის დირექტორი 2020 წლის დასაწყისში, ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ, რამდენიმე მენეჯერმა და ჟურნალისტმა, ტელევიზია, როგორც აცხადებენ, ახალი მენეჯმენტის მხრიდან ზეწოლის გამო დატოვა.⁴⁸

საარჩევნო კოდექსი მოითხოვს, მაუწყებლებმა საარჩევნო კამპანიების სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება უზრუნველყონ. მაშინ, როცა ბეჭდური და ციფრული მედია მეტად დაურეგულირებელია. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია საარჩევნო კამპანიის პერიოდში ეთერში გაშვებულ, არჩევნებთან დაკავშირებულ გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვების უფლება აქვთ, საზოგადოებრივ მაუწყებელში

⁴⁵ კომუნიკაციების კომისიის [წლიური ანგარიშის](#) თანახმად, 2019 წელს საქართველოს მოქალაქეებმა ტელევიზორთან 412 წუთი გაატარეს.

⁴⁶ 2019 წლის ივლისი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (EctHR) საქმე , [შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ](#), პრო-ოპოზიციური ტელევიზიის მფლობელების მიერ წარდგენილი სარჩელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიკერძოებულობის თაობაზე, არ დააკმაყოფილა.

⁴⁷ მედიის მარეგულირებელი ორგანოს თანახმად, 2019 წლის ყველა არხის მთლიანი სარეკლამო შემოსავალი 68 მილიონი ლარი გახლდათ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2020 წლის ბიუჯეტი, [საქართველოს პარლამენტმა](#) 68.7 მილიონი ლარის ოდენობით დაამტკიცა.

⁴⁸ იხილეთ 2020 წლის 10 მარტის მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის განცხადება.

მიიღებენ უფასო საეთერო დროს - საათში 5 წუთს. კერძო მედიაში კი, ყოველ სამ საათში 7,5 წუთ უფასო საეთერო დროს.⁴⁹ რეგიონული მაუწყებლები ვალდებულნი არიან გამოყოფნა უფასო დრო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ რეკლამებისთვის საეთერო დროს ყიდნიან. დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ამ არჩევნებში მონაწილეობენ, უფლება აქვთ სამ საათში ერთხელ გამოიყენონ უფასო საეთერო დრო, მთლიანობაში 2,5 წუთი, მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებლებზე.

მაუწყებლები, რომლებიც არჩევნების გაშუქებას გადაწყვეტენ, ვალდებულნი არიან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების უფლების მქონე პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, გამართონ დებატები. გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილებით, ასეთი პარტიებისთვის დაგეგმილი ოთხი დებატის გარდა, ოთხ დამატებით დებატს დანარჩენი პარტიების მონაწილეობით გამართავს და გააშუქებს. გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია საკუთარი ინიციატივით, არჩევნებში მონაწილე თითოეულ პარტიას, ან საარჩევნო ბლოკს, ხუთ და ექვს წუთ უფასო დროს, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გამოუყოფენ.

კომუნიკაციების კომისია (CC) სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს. კამპანიის მიმდინარეობის პროცესში, კომისია მონიტორინგს უწევს მაუწყებლების კანონთან შესაბამისობას.⁵⁰ 1-ელ ოქტომბერს, კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „პირველის“ და ტელეკომპანია „ფორმულას“ წინააღმდეგ პოლიტიკური რეკლამების გაშუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევების გამო თბილისის საქალაქო სასამართლოში სანქციების დაწესების პროცედურები დაიწყო. 28 სექტემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ (ODIHR LEOM) მედიის მონიტორინგი დაიწყო, შვიდი ეროვნული სატელევიზიო არხის პრაიმ ტაიმში პოლიტიკასა და არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზით.⁵¹

⁴⁹ მაშინ როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების უფლება 19 პოლიტიკურ პარტიას გააჩნია, ბოლო ცვლილებებზე დაყრდნობით, რომელიც ზღუდავს უფასო დროის გამოყოფას იმ პარტიებისთვის, რომლებიც ერთიანდებიან საარჩევნო ბლოკში, შესაბამისად 18 საარჩევნო სუბიექტს გამოეყოფა უფასო საეთერო დრო. ვინაიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის ერთ კოალიციას წარმოადგენენ, ისინი იღებენ უფასო დროს მხოლოდ ერთხელ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიები ასევე იღებენ ბიუჯეტიდან დაფინანსებას 600 000 ლარამდე ფასიანი პოლიტიკური რეკლამებისთვის, ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული ხმების პროპორციულად.

⁵² საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის ან დამკვირვებელთა რეგისტრაციის უარყოფის თაობაზე, შეიძლება პირდაპირ გასაჩივრდეს სასამართლოში.

⁵⁰ ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო კომუნიკაციების კომისიის სხდომები ონლაინ რეჟიმში ტარდება.

⁵¹ შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია აწარმოებს შემდეგი ტელევიზიების პრაიმ ტაიმის (18:00-დან 00:00-მდე) მონიტორინგს: ორი საზოგადოებრივი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია) და ხუთი კერძო ეროვნული სატელევიზიო არხი (ფორმულა, იმედი, მთავარი არხი, ტელეკომპანია პირველი, რუსთავი 2).

XI. საჩივრები და სარჩელები

მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისა და აკრედიტებული დამკვირვებელი ჯგუფების უფლება, შეიტანონ საჩივრები არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ამომრჩეველთა უფლება ამ მხრივ შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ სიაში არყოფნასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრების უფლებით.⁵² საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის ზემდგომ კომისიაში, შემდეგ კი რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, ხოლო საბოლოო ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს. ეს საქმეები ექვემდებარება დაჩქარებულ პროცედურებს, რომლებიც ერთი ან ორი დღის განმავლობაში საჩივრის შეტანას და საქმის გადაწყვეტას გულისხმობს ახალი საკანონმდებლო ცვლილებები არ ითვალისწინებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ დიდი ხნის წინ გაცემულ რეკომენდაციებს საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემის გამარტივებისა და საჩივრის შეტანის უფლების გაფართოების შესახებ.

საარჩევნო კანონმდებლობის, კერძოდ, საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას განიხილავს მხოლოდ ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მათი მოადგილეები.⁵³ უფლებამოსილი პირი წყვეტს, წარუდგენს თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქალაქო/რაიონულ სასამართლოს ჯარიმის მოთხოვნით; სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, როგორც საბოლოო ინსტანციაში. ბოლოდროინდელი ცვლილებებით ოქმის წარდგენისა და სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა, დარღვევის ტიპის გათვალისწინებით, შემცირდა.⁵⁴ 2018 წელს სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ცესკოს თავმჯდომარის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მოთხოვნაზე უარის თქმა არ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. 2020 წლის აპრილში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი გასაჩივრების უფლების არარსებობის თაობაზე, აღნიშნული სარჩელი მიუთითებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ადრეულ რეკომენდაციაზე ამ საკითხთან დაკავშირებით; საქმე განხილვის პროცესშია.⁵⁵

ცესკო აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ონლაინ რეესტრს, სადაც კომისიებსა და სასამართლოებში შეტანილი საჩივრები და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

⁵² საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები, ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის ან დამკვირვებლის რეგისტრაციის უარყოფაზე შეიძლება პირდაპირი გზით სასამართლოში გასაჩივრდეს

⁵³ კომუნიკაციების კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, და მუნიციპალიტეტების იურისდიქციაში შედის რეაგირება შესაბამის დარღვევებზე, კერძოდ, დარღვევები მედია ორგანიზაციების მხრიდან, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსური დარღვევები და საარჩევნო მასალების გაკვრასთან დაკავშირებული დარღვევები.

⁵⁴ წარდგენის 30-დღიანი ვადა და საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების 15-დღიანი ვადა შემცირდა 2-10 დღემდე დანაშაულის გათვალისწინებით.

⁵⁵ კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ არჩევნების ჩატარებამდე 15 თვეზე მეტი ხნის ადრე მიღებული საარჩევნო ნორმები საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეიძლება ჩათვალოს არაკონსტიტუციურად შესაბამის საარჩევნო წელს.

აისახება.⁵⁶ დღეის მონაცემებით, საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე 200-მდე საჩივარია წარდგენილი. სასამართლომ ცხრამდე საქმე განიხილა. საჩივრები ძირითადად საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებზე დაინტერესებული მხარეების უფლებების შეზღუდვას, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას და კამპანიის წესების დარღვევას, მათ შორის, სამუშაო საათებში საჯარო მოხელეების მიერ კამპანიის ჩატარებას ეხებოდა. 57 თითქმის ყველა საჩივრის განხილვაზე სასამართლომ უარი თქვა ტექნიკური დარღვევის საფუძველზე ან განხილვის შემდეგ არსებითად არ დააკმაყოფილა; სხვა საჩივრები განხილვის პროცესშია.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, 30 ივნისს შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის (IATF).⁵⁸ კომისიას მანდატით განესაზღვრა უფლებამოსილება, უზრუნველყოს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან საარჩევნო დარღვევების პრევენცია და მათზე რეაგირება. ზოგიერთი ოპოზიური პარტია და საზოგადოებრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ბოიკოტს უცხადებს კომისიის სხდომებს იმ მოტივით, რომ უწყებათაშორისი კომისია არაეფექტურია. ამ დროისთვის კომისიას საჩივრები არ მიუღია, თუმცა მედიის საშუალებით და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილა 250-მდე შესაძლო დარღვევა და ამასთან დაკავშირებით გასცა არასავალდებულო რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა თავი შეიკავონ და არ დაუშვან საჯარო მოხელის მდგომარეობის და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება და კამპანიის დროს ძალადობა. დღეის მონაცემებით, პროკურატურამ 11 განაცხადი მიიღო და ხმების მოსყიდვასთან დაკავშირებულ ერთ საქმეზე გამოძიება დაიწყო, და შვიდ პირს არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ფაქტზე ბრალი წაუყენა.⁵⁹

XII. მოქალაქეები და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ეროვნული და საერთაშორისო დამკვირვებლების, ასევე არჩევნებში მონაწილე პარტიების მხრიდან არჩევნებზე დაკვირვების პროცესს. საარჩევნო კოდექსში გაწერილია დეტალური დებულებები დამკვირვებელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ და საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე აძლევს დაუბრკოლებლად მუშაობის შესაძლებლობას. დღეისათვის ცესკომ დაარეგისტრირა 88 მოქალაქე, 20 საერთაშორისო ორგანიზაცია და 42 ადგილობრივი მედიის წარმომადგენელი არჩევნებზე დასაკვირვებლად. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR LEOM) საუბრისა დაინტერესებული მხარეები შემოფოთებას გამოთვქვამენ

⁵⁶ მონაცემთა ბაზაში შედის საჩივრები, რომლებიც შეიტანეს არჩევნების დანიშვნის შემდეგ, 1 სექტემბერს; მასში არ შედის საჩივრები, რომლებიც უკავშირდება არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციას.

⁵⁷ სხვა საკითხებში შედის პარტიების და კანდიდატების რეგისტრაციის და საუბნო საარჩევნო კომისიებში პროცედურული დარღვევების საკითხი.

⁵⁸ უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის (IATF) შედგება მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან და ყველა პოლიტიკური პარტიას აქვს კომისიის სხდომებზე დასწრების უფლება. ამ დროისთვის მონაცემებით შვიდი სხდომა ჩატარდა.

⁵⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროში 30 საგამოძიებო პროცესია დაწყებული, მათგან უმრავლესობა საარჩევნო დარღვევებს, ქონების დაზიანებას და ერთი საკითხი ამომრჩეველზე ზეწოლას ეხება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილთან დაკავშირებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკურ პარტიებთან არის დაკავშირებული.

XIII. ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

ბოლო აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 13,2 პროცენტს ეროვნული უმცირესობები შეადგენენ; ეთნიკური უმცირესობების ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6,3 პროცენტი) და სომხები (4,5 პროცენტი).⁶⁰ კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს, მათ შორის მშობლიური ენის გამოყენების უფლებას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით, ასევე პოლიტიკური პარტიების ფორმირებას და ეთნიკური დაპირისპირების პროპაგანდას. იგი კრძალავს პოლიტიკური პარტიების შექმნას ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსში გაწერილია, რომ საარჩევნო პლატფორმების მემწეობით არ უნდა მოხდეს ეთნიკური დაპირისპირება. რამდენიმე პარტიამ წარადგინა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პირები კანდიდატებად პარტიულ სიებში ძირითადად უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს ამომრჩეველთა სიების, ბიულეტენებისა და შედეგების ოქმების თარგმნას უმცირესობების ენებზე. ცესკომ 348 საუბნო საარჩევნო კომისია დააარსა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ საარჩევნო ოლქებში.⁶¹ ცესკო ახორციელებს ამომრჩეველთა ინფორმირებას, ასევე უზრუნველყოფს საარჩევნო მასალებს მათ ენაზე და ატარებს ტრენინგებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

XIV. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის სხვა საქმიანობა

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა ოფიციალურად (ODIHR LEOM) 25 სექტემბერს პრესკონფერენციით დაიწყო. მისიის ხელმძღვანელი შეხვდა ცესკოს თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, პრემიერ მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ჯანდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, გენერალურ პროკურორს და სხვა მაღალჩინოსნებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს და მათ წარმომადგენლებს, მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას და დიპლომატიური და საერთაშორისო საზოგადოების წევრებს.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA) აპირებენ დელეგაციების მივლინებას არჩევნების

⁶⁰ მას მოსდევს რუსები 0,7 პროცენტით, ოსები - 0,4, იეზიდები - 0,3, უკრაინელები - 0,2, ქისტები - 0,2, ბერძნები - 0,1, ასურელები - 0,1 და სხვა ჯგუფები -0,4.

⁶¹ 211 ქართულ-აზერბაიჯანული, 133 ქართულ-სომხური, და 4 ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საუბნო საარჩევნო კომისია

დღეს საარჩევნო პროცესებზე დასაკვირვებლად. ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, სპეციალური კოორდინატორის და ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის სტატუსით ელონა ხოჯა-ჯებრეა დანიშნა.

*წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი წარმოადგენს ინგლისურ ენაზე შედგენილი ანგარიშის
არაოფიციალურ თარგმანს*